პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

1975
კვირა
28
სექტემბერი
№ 228
(16354)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

28 სექტემბერი მანქანათმშენებლის დღეა

ᲗᲠᲝᲤᲘᲗᲘ ᲜᲐᲒᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

[illegible]

თბილისი. [illegible] ქარხნის [illegible] კოლექტივი, რომელიც სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, კარგი შრომითი მაჩვენებლებით ხვდება თავის დღესასწაულს — მანქანათმშენებლის დღეს. აქ პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის დავალება ვადამდე გაანაღდეს. საერთო პროდუქციის გამოშვებას 21 ათასი მანეთით გადააჭარბეს. განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. პროდუქციის მთელი მატება მიღებული შრომის ნაყოფიერების გაორმაგების გზით. ეს მაჩვენებელი 2,4 პროცენტით გაზარდა. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 1,5 პროცენტით შემცირეს. ზეგეგმოვანი მოგებამ 12 ათასი მანეთი შეადგინა.

მანქანათმშენებლები [illegible] დღიურად აძლიერებენ შრომის ტემპს და იმისათვის იბრძვიან, რომ ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

28 ᲙᲝᲛᲘᲢᲘᲡᲠᲘᲡ მანქანათმშენებელ ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად განიხილა თბილისის ფოლად-თუნუსამსხმელო ქარხნის მეკობეთა ბრიგადისა და ბათუმის მანქანათმშენებელო ქარხნის კოლექტივების თაოსნობა, რომელიც მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და ეროვნული ფართობიდან მეტი პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს. მუშაობის გასაუმჯობესებლად ყველი უბანზე შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი.

ვინავრულად მოწყობილმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. ვეგმის ვადამეტებით რეალიზებულია ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია. ყაირათიანი მუშაობით გამოშვებული, პროდუქციის თვითღირებულება 19 ათასი მანეთით შეამცირეს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელო ქარხნის (დირექტორი თ. სტურუა) კოლექტივს ღირსეული წვლილი შეაქვს რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივების მიერ გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების საქმეში. მანქანათმშენებლები დაპირების პირნათლად ასრულებენ. განვლილ პერიოდში გეგმის ვადამეტებით 306 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, წლიური ვალდებულება კი 350 ათას მანეთს ითვალისწინებს.

საწარმოს კოლექტივი დიდ ყურადღებას უთმობს მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. მარტო რვა თვეში შრომის ნაყოფიერება 6,1 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 205 ათასი მანეთი ეკონომია მოიღეს, ზეგეგმითმა მოგებამ 60 ათასი მანეთი შეადგინა.

ქარხნის კოლექტივი დიდგვ სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ენერგიულად შრომობენ წლიური გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ბათუმის მანქანათმშენებელო ქარხნის მოწინავე ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა. ი. ადილოვი (ბრიგადის ხელმძღვანელი, მარჯვნივ), ბრიგადის წევრები ე. კურტანიძე და ი. გორგაძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

1975 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

28 სექტემბერს, გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი. პლენუმში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პირველი მდივნები, რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცხოველეები, საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი, რომლებიც გადაწყვეტეს მეცხოველეობაში მუშაობა, მეცხოველეობის ვეტერანები, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელები.

პლენუმის პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჯ. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. შ. ყარყარაშვილი, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელნი.

პლენუმზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შარტავამ გააკეთა მოხსენება „რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აქტივობისა და პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების საქმეში“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ გორის რაიკომის პირველი მდივანი მ. დარბაიძე, ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა ც. ჯოთავა, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ხარატიშვილი, ცაგერელი რაიონის თემქარაშენის საბჭოთა მეურნეობის მწყემსი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი ნ. თედე

მონდომებული მუშაობის ნაყოფი

საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივი გეგმის გადამეტებით 8,8 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოუშვებია

თბილისი. გაერთიანება „ელექტროაპარატის“ (გენერალური დირექტორი ი. ხუროძე) კოლექტივი უკანასკნელ პერიოდში მტკიცედ ჩადგა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა მწყობრში და გეგმას ყველა მაჩვენებლის მიხედვით ასრულებს, ყოველთვის დროს უსწრებს და დაკვეთები სრულდება ზუსტი გრაფიკის დაცვით. საწარმოს კოლექტივმა ცხრა თვის პროდუქციის რეალიზაციის დავალება 16 სექტემბრისათვის შეასრულა. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 1.225 ათასი მანეთის პროდუქცია. განვლილ პერიოდში ეს დავალება უკვე განაღდებულია.

საწარმოში წარმატებით ინერგება ხარისხის მართვის კომპიუტერული სისტემა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ერთ-ერთ ელექტროაპარატს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. საწარმოს კოლექტივი მიღწეულთან ერდგა ქმაყოფილდება. იქ ფარგლად გამოგებმაურნენ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოთეთა ბრიგადის თაოსნობას, რომელიც ყოველ უბანზე მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას ითვალისწინებს და ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მოწოდებას იმის შესახებ, რომ ერთ კვადრატულ საწარმოო ფართობზე რაც შეიძლება მეტი პროდუქცია გამოუშვან. საწარმოში შეისწავლეს ყველა რეზერვი და შეიმუშავეს სპეციალური ღონისძიებები მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის და სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრეს **წლიური გეგმის გადამეტებით აწარმოონ 3,3 მილიონი მანეთის პროდუქცია.** აღსანიშნავია, რომ პროდუქციის მთელი მატება მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ეს მაჩვენებელი მარტო რვა თვეში 16 პროცენტით გაიზარდა. პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპმა განვლილ პერიოდში 56,6 პროცენტს მიაღწია, ხოლო წლის ბოლოსთვის 78 პროცენტს გადააჭარბებს.

გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა **კასპის „ელექტროაპარატის“ საწარმო, რომელმაც ხუთწლიანი გეგმა უკვე შეასრულა.** აქ მუშაობის საუკეთესო მაგალითის იძლევა და მხოლოდ უწესო პროდუქციას უშვებს საამყოფო საამქრო, რომელსაც მ. კონიაშვილი ხელმძღვანელობს. ნაყოფიერად შრომობს ა. იმნიშვილის უბანი, რომელმაც ხუთწლეული შეასრულა და უკვე მეათე ხუთწლეულის ანგარიშში შრომობს.

გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ყველა საწარმოში, უბანზე, ბრიგადაში მონდომებული, ენერგიული, ნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული, რათა პირნათლად შეასრულონ ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულები და მტკიცე საფუძველი შეუქმნან მეათე ხუთწლედის წარმატებით დაწყებას.

ზ. ჯაბანაძეიშვილი.

ხალხურ შემოქმედებას — ყურადღება და ზრუნვა

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის კლენუმი

ბაქურიანი საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი, პლენუმი შესაფერი ხატვით გახსნა რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ნ. ჯანბერიძემ. მოხსენება — „საქართველოს ხალხური მხატვრული სარეწების შედგომარეობა და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა მიხედვით“ გააკეთა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ციციშვილმა.

— ხალხური დეკორაციული ხელოვნება, — თქვა მომხსენებელმა, — ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. მიმდინარე წლის თებერვალში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ“, რომელიც გარდამტეხია ხალხური მხატვრული სარეწების მეფისათვის.

ჩვენი პარტიის მითითებათა შემდგომი განხორციელებისათვის, აღინიშნა მოხსენებაში, ყველა ორგანიზაციამ, რომლებსაც ხალხურ ოსტატებთან უშუალო კომპეტენტი აქვთ დამყარებული, დიდი და სერიოზული მუშაობა უნდა გასწიოს პრობლემის ყველა ასპექტში.

ეს არის — ხალხური ხელოვნების ტრადიციები, ხალხური ოსტატები, ხალხური მხატვრული სარეწები და საწარმოები.

პლენუმზე საფუძვლიანი სკამბისი გაიმართა ქართული მხატვრული სარეწების დღევანდელ მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს მათი შემდგომი განვითარებისათვის, რა დახმარების გაწევა შეუძლიათ მხატვრებს ამ დიდ, ხალხურ საქმეში შემოქმედ განვითარებისათვის, რა დახმარების გაწევა შეუძლიათ მხატვრებს ამ ტრადიციებისათვის, რა დახმარების გაწევა შეუძლიათ მხატვრებს ამ ტრადიციებისა და ტექნიკურ ინოვაციებს შორის ურთიერთ-კავშირის ფორმირებაში.

ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილია ნაწილად — როლის დაუფასებლობის გამო ეს დარგი კნინდება.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ხალხური სარეწების ეკონომიკურ და კულტურულ მნიშვნელობას, აღნიშნა სულ უფრო მზარდი ინტერესი ხალხური ხელოვნებისადმი.

ამ მიზნით, რომ ხალხურ ოსტატებს შეექმნათ ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის პირობები, გაეწიოთ მათ ეკონომიკური დახმარება, დადგინდეს რაიონები, სადაც გავრცელებულია ხალხური მხატვრული სარეწები, განსაზღვროს ოსტატთა ეკონომიკური და სამართლებლივი მდგომარეობა, — „სოლანთან“ მუშაობა დაიწყო ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-კვლევითმა ექსპერიმენტალურმა ლაბორატორიამ. მან უნდა შეისწავლოს ხალხური ხელოვნების განვითარების ყველა პრობლემა.

ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია, მათ შორის საქართველოს კულტურის სამინისტრო, რესპუბლიკის მხატვართა კავშირი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რაიონული მხარეთმცოდნეობის მუზეუმები სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ ლაბორატორიას დახმარებას გაუწევენ ამ პატრიოტულ საქმეში.

მოხსენების ბოლოს გამართულ კამათში გამოვიდნენ ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლ. საყვარელიძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი ვ. კმშელავა, საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გ. მიზანდარი, საქართველოს დამსახურებული მხატვრები გ. ოჩიაური, ე. კალანდაძე, რ. შერაზია, მოქანდაკეები ბ. ბოგვერაძე, ბ. ბოგვერაძე და რ. ამბროლი, ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე თ. ფეიქრაძე.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა ნ. ჯანბერიძემ.

პლენუმმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ნ. ი. როსტოვცევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მეცხოველეობის დარგის სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 80 წელთან დაკავშირებით მიენიჭოს საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ნიკიტა თევდორის-ძე **როსტოვცევს სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს medali „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
გ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1975 წ. 26 სექტემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

დიდი ზრუნვა პატარებს

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელზეც მოხსენება ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ გაკეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა მ. ხახანაშვილმა.

მომხსენებელმა და მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა გ. კვარაცხელიამ, ი. სკაჩკოვმა, მ. ცალუღელაშვილმა, დ. კიკნაძემ, ლ. ბარმაშოვამ, ციცინო შარის გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავიშვილმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ კ. გეგელაშვილმა, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ი. გოგელიამ, კაპიტალური მშენებლობის თბილისი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ი. კალანდაძემ, ობილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ლ. ბაბაშიძემ, ბეთონისა და გიხეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა კ. ჩაჩავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსმა რეფერენტმა ვ. გოკიელმა, საქართველოს პროფკავშირთა კურორტებისა მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჩიკვილაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა მეოხებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბავშვთა სამედიცინო მომსახურება. ბავშვთა საავადმყოფოებში ფართოდაა დანერგილი ინტენსიური თერაპიის მეთოდი, ახალშობილთა მოვლა-პატრონობა და მკურნალობა კომპლექსური გეგმით, — ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ხორციელდება ბიკარპოდიატრთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა ციკლი. პერიოდულად იმართება თაობიერ-სემინარები ბავშვთა ავადმყოფობის შემთხვევებზე. (გარდაბნის, მარნეულის, დმანისის, ახალქალაქის, ლაგოდეხის, დუშეთის რაიონები). დმანისის, ახმეტის, მესტიის და საგარეჯოს რაიონებში არ არის დაკომპლექტებული ექიმ პედიატრთა საშტატო ერთეულები.

ხაკლოვანებანი ბავშვთა საავადმყოფოების სურსათით მომარაგებაში, სკამარისად არ არის განვითარებული იმ სპეციალიზებული მაღაზიების და სექციების ქსელი, რომლებიც ბავშვთა კვების პროდუქტებით ეკმაყოფილებდნენ სოფლებს. ჯერ კიდევ დაბალი ფორმით მსახურობენ სანტარიულ-ჰიგიენური ცოდნის დონე. მოსახლეობა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი უზრუნველყოფილი არ არიან ბავშვთა სამახსოვრებით, ბრიმუორებით, მეთოდიკური სახელმძღვანელოებით. ნელი ტემპით მიმდინარეობს ბავშვთა საავადმყოფოების მშენებლობა. უკვე რვა წელია ქიანურდება ქალაქ თბილისის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა. არსებულ საავადმყოფოთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აკმაყოფილებს სანტარიულ ნორმებს, ცუდადაა თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და ინვენტარით მათი უზრუნველყოფის საქმეც, იმის გამო, რომ პატარა საავადმყოფოებში არ აქვთ ცენტრალიზებული ლაბორატორიები, არაკვალიფიცირად იკვლევენ ავადმყოფებს.

ცუდადაა სეზონური ბავშვთა ბაგა-ბაღების ორგანიზაციის საქმეც. 1974 წელს ხაშურის, ბორჯომის, ახალქალაქის, ასპინძის, დმანისის, საგარეჯოს, თერჯოლის რაიონებში არ გახსნილა არც ერთი სეზონური ბაგა-ბაღი, რაც დიდად აფერხებს შრომითს საქმიანობაში ბავშვიან ქალთა ჩაბმას.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სისტემატურ დახმარებას არ უწევენ ჯანმრთელობის დაცვის აღგილობრივ ორგანოებს ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში.

საკმარისი არ არის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თეორიული და პრაქტიკული დახმარება ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისადმი.

მუდმივი კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ს. რიგვავამ.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

ქალთა შრომას — ფართო გზა!

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელზეც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ო. ფალიოს ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ გაკეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა მ. ხახანაშვილმა.

მომხსენებელმა და მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა გ. კვარაცხელიამ, ი. სკაჩკოვმა, მ. ცალუღელაშვილმა, დ. კიკნაძემ, ლ. ბარმაშოვამ, ციცინო შარის გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავიშვილმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ კ. გეგელაშვილმა, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ი. გოგელიამ, კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ი. კალანდაძემ, ობილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ლ. ბაბაშიძემ, ბეთონისა და გიხეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა კ. ჩაჩავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსმა რეფერენტმა ვ. გოკიელმა, საქართველოს პროფკავშირთა კურორტებისა მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჩიკვილაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა მეოხებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბავშვთა სამედიცინო მომსახურება. ბავშვთა საავადმყოფოებში ფართოდაა დანერგილი ინტენსიური თერაპიის მეთოდი, ახალშობილთა მოვლა-პატრონობა და მკურნალობა კომპლექსური გეგმით, — ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ხორციელდება ბიკარპოდიატრთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა ციკლი. პერიოდულად იმართება თაობიერ-სემინარები ბავშვთა ავადმყოფობის შემთხვევებზე. (გარდაბნის, მარნეულის, დმანისის, ახალქალაქის, ლაგოდეხის, დუშეთის რაიონები). დმანისის, ახმეტის, მესტიისა და საგარეჯოს რაიონებში არ არის დაკომპლექტებული ექიმ პედიატრთა საშტატო ერთეულები.

ხაკლოვანებანი ბავშვთა საავადმყოფოების სურსათით მომარაგებაში, სკამარისად არ არის განვითარებული იმ სპეციალიზებული მაღაზიების და სექციების ქსელი, რომლებიც ბავშვთა კვების პროდუქტებით ეკმაყოფილებდნენ სოფლებს. ჯერ კიდევ დაბალი ფორმით მსახურობენ სანტარიულ-ჰიგიენური ცოდნის დონე. მოსახლეობა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი უზრუნველყოფილი არ არიან ბავშვთა სამახსოვრებით, ბრიმუორებით, მეთოდიკური სახელმძღვანელოებით. ნელი ტემპით მიმდინარეობს ბავშვთა საავადმყოფოების მშენებლობა. უკვე რვა წელია ქიანურდება ქალაქ თბილისის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა. არსებულ საავადმყოფოთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აკმაყოფილებს სანტარიულ ნორმებს, ცუდადაა თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და ინვენტარით მათი უზრუნველყოფის საქმეც, იმის გამო, რომ პატარა საავადმყოფოებში არ აქვთ ცენტრალიზებული ლაბორატორიები, არაკვალიფიცირად იკვლევენ ავადმყოფებს.

ცუდადაა სეზონური ბავშვთა ბაგა-ბაღების ორგანიზაციის საქმეც. 1974 წელს ხაშურის, ბორჯომის, ახალქალაქის, ასპინძის, დმანისის, საგარეჯოს, თერჯოლის რაიონებში არ გახსნილა არც ერთი სეზონური ბაგა-ბაღი, რაც დიდად აფერხებს შრომითს საქმიანობაში ბავშვიან ქალთა ჩაბმას.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სისტემატურ დახმარებას არ უწევენ ჯანმრთელობის დაცვის აღგილობრივ ორგანოებს ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში.

საკმარისი არ არის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თეორიული და პრაქტიკული დახმარება ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისადმი.

მუდმივი კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. გაბუნიამ.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

მუდმივი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

ოფიციალური განყოფილება

27 სექტემბერი

ამბები • ფაქტები

საკვლევი და ეცხოვეთის ჯრედის საააგენტოები იტყობინებიან

ა. ა. გრომიკო პრაღაში ჩავიდა

პრაღა. (საკვლევი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური **კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის** მთავრობის მოწვეთით დღეს პრაღაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ რუზინეს აეროდრომზე ა. ა. გრომიკოს დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გულა, ჩეხოეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ი. კორჩაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კაპეკი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ჰნოუპეკი და სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყვნენ **სსრ** კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ვ. მაცკევიჩი, ჩეხოსლოვაკიაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

თავისუფლება ჩილეს პატრიოტებს!

ბრიუსელი. ქალაქ ლიეგში გამართული მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური მდივნის ლუის კორვალანისა და სხვა პოლიტიკური პატიმრების დაუყოვნებლივ განთავისუფლება. მიტინგში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და პროფკავშირის. ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები. გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს ჩილელი ხალხის სასნელი მდგომარეობა, რომლებიც ტერორის, სიღატაკისა და უმუშევრობის ვითარებაში ცხოვრობენ.

ლისაბონი. ჩილეს პოლიტიკურ პატიმართა დახმარების პორტუგალიის კომიტეტმა დაგზავნა ტელეგრამა ჩილეს ხუნტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ბ. ბარტონთან. თუმცა თვით „ზეუფლიშვილის“ დაკვის ეგზემპლარი, როგორც ჩანს, მთლად არ არის დარწმუნებული თავისი ინსტრუქციების ქმედითობაში. „თუ ტერორისტები ვინმეს გატაცებას, მოინდომებენ, — წერია ამ „ეფექტური“ „ეფექტურ“ ტელეგრამაში, — ისინი ბოლოს და ბოლოს მაინც თავისას იზამენ...“

ანბანი... სიბერეში

„ორ მილიონ ინგლისელს არ შეუძლია ამის წაკითხვა...“ ასეთი სათაურით გამოქვეყნებულ სტატიაში ეურნალი „დეილი ტელეგრაფი“ წერს იმის თაობაზე, თუ როგორ ძლიერდებოდა ანალფაბეტიზმი უკვე მოხუცი ადამიანები წერა-კითხვის დაუფლებას, იმის თაობაზე, თუ როგორ ასწავლიან ამ ანბანს მოხალისე სტუდენტები, მასწავლებლები, აქტიორები, მომღელები.

ამასთან „დეილი ტელეგრაფი“ დუმილით უვლის გვერდს ერთ პრობლემას — რატომ წარმოიშვა ბრიტანეთის კუნძულებზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხი? ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისში ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ წერა-კითხვის უცოდინართა ძირითადი „მომწოდებელია“ თვით ინგლისის სკოლები. ბევრ სკოლაში ნორმაზე გაცილებით ბევრი ბავშვი სწავლობს, აკლიათ მასწავლებლები, და რაც მთავარია „ბუნებრივი მონაცემების“ შესაბამისი ტესტები ხელოვნურ დაბრკოლებას ქმნიან ათასობით ბოსწავლეს სწავლის გასაგრძელებლად. პრესაში მოყვანილია არაერთი ფაქტი, როცა ამის გამო მოზარდი 15 წლის ასაკში გაცილებით უარესად კითხულობს და წერს, ვიდრე ამას აკეთებდა ოცი 9 წლის ასაკში.

1975 წელი—ქალის საერთაშორისო წელი

მწვანე კონცხის კუნძულები

ამბახ წინათ აფრიკის კონტინენტის რუკაზე კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა — მწვანე კონცხის კუნძულების რესპუბლიკა. პორტუგალიელ კოლონიზატორთა ხუთსაუკუნოვან ბატონობას ბოლო რომ მოეღო, ხალხი ახალი ძალით შეუდგა ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტას. ახალი ცხოვრების მშენებლობაში ოქტიურად მონაწილეობენ ქალები.

სურათზე: ახალგაზრდა რესპუბლიკის ქალები მიეხალმებიან ჭვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ადგ-საკვლევის ფოტო.

ინგლისური კალეიდოსკოპი



დეტექტივის ბიზნესი

პოლიტიკოსების, მალიონერთა შვილების და ყველა იმათი მოტაცება, რომელთა გამოსასყიდად სოლიდური თანხა იქნება საჭირო, დასავლეთში დანაშაულებრივი ინდუსტრიის ერთ-ერთი პოპულარული დარგი გახდა. თანაც იმდენად პოპულარული, რომ ზოგიერთებმა ფულის გაკეთება იწყეს არა თვით გატაცებით, არამედ გატაცების შიშზე. ყოფილი კერძო დეტექტივი, ამჟამად კი ყურნალ „ზეუფლიშვილის“ გამომცემელი პიტერ ჰეიმსი აწყობს სემინარებს „იმათთვის, ვისაც გატაცების საშიშროება ემუქრება“. იმ პირთა ვრცელ სიაში, რომლებსაც ჰეიმსმა თავდაცვის მეთოდებზე ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტაროს, ათასან ნაგთობის კომპანიათა, უნივერსალური მაღაზიების მფლობელები. ბანკირები. ნახსენებია ავრეთვე კინოვარსკვლავები ელიზაბეტ ტეილორი და რიჩარდ ბარტონი. თუმცა თვით „ზეუფლიშვილის“ დაკვის ექსპერტი, როგორც ჩანს, მთლად არ არის დარწმუნებული თავისი ინსტრუქციების ქმედითობაში. „თუ ტერორისტები ვინმეს გატაცებას, მოინდომებენ, — წამოსცდა მას „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში, — ისინი ბოლოს და ბოლოს მაინც თავისას იზამენ...“

ინგლისელ ბიბლიოფილთა ინტერესი ქართული ბიბლიოთეკა

ბიბლიოფილი ლაბის

დაძაბულობის შემცირების გზა-საშუალებანი

ეროვნული კრებულების გაღრმავებისათვის

გენერალური კრების 30-ე სესია

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. (საკვლევი სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის აქ მიმდინარე 30-ე სესიის ზოგადი პოლიტიკური დისკუსიის მსვლელობა დამაჯერებლად მოწმობს, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობასა და გაღრმავებას, ქვეყნებისა და ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები საერთაშორისო ცხოვრების კანონად იქცეს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. სოვანიარგმა ხაზი გაუსვა, რომ ევროპაში დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცება თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების დადმნიშვნელოვანი პოზიტიური ფაქტორია. იგი მიესალმა იმ ფაქტს, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტმა დაადასტურა ყველა მონაწილე სახელმწიფოს ერთგულება ძალის გამოყენებაზე უარის თქმის პრინციპისადმი, საფუძველი ჩაუყარა მათი მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებას.

ნამდვილი, საყოველთაო და კონტროლდაქვემდებარებული განიარაღება არის და იქნება უფრო საჭირო, ვიდრე ოდესმე, განაცხადა ჟ. სოვანიარგმა. მან ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთი მხარს უჭერს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის იდეას ხუთიდე ატომური სახელმწიფოს მონაწილეობით და დაადასტურა საფრანგეთის მზადყოფნა შეეურთდეს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ გამბედავ ნაბიჯებს ეროვნული ტვირთვების საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნას.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. მაკოვესკუს აზრით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრება ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა ევროპის კონტინენტის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი საფუძველს უყრის ევროპის უშიშროებას, რასაც სასურველი შედეგები მოჰყვება მთელი მსოფლიოსათვის. რუმინეთი, ხაზი გაუსვა მაკოვესკუმ, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ატომური განიარაღების საკითხებს და მხარს უჭერს ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენების აკრძალვას.

ზოგადპოლიტიკურ დისკუსიაში, რომელიც დამაჯერებლად ცხადყოფს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის ხალხთა მისწრაფებას, მკვეთრ დისონანსად გისმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ცაო გუან-ჰუას გამოსვლა სესიაზე. ბეკინის წარმომადგენელი თავის დაუსხა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, რომლის შედეგები დადებითად შეიფასა მთელმა მსოფლიომ. თავის უხეშ ინტერვენციას ეროვნულ კონფლიქტებში ისევ კი აკადრა, რომ საბჭოთა კავშირს დაბრალა... „დაძაბულობის გამწვავება“, მრავალჯერ გამეორა მაოისტთა ნაბოდვარი იდეები ორი ზესახელმწიფოს მეთიური პირის შეკვრის შესახებ. ჩინეთის წარმომადგენელ ნაბოდვრებს ჩანს, რომ ბეკინს კვლავინდებურად განწირახული აქვს საბოტაჟი გაუკეთოს ეროვნულ ინტერესებს, ეროვნული ინტერესებიდან ამოვარდნილ ბრძოლაში ჩაბას ეროვნული ინტერესებიც, ეროვნული ინტერესებიც, ეროვნული ინტერესებიც,

ივანე ბერიტაშვილის დაბადების 90 წლისთავი

მეცნიერის საკაცობრიო ღვაწლი

ივანე ბერიტაშვილი

ფიზიოლოგთა დიდი ფორუმი

ხვალ თბილისში იხსნება ფიზიოლოგთა მე-12 საკავშირო ყრილობა

ხვალ, 29 სექტემბერს, ჩვენი დედაქალაქი გულღიად გაუღებს კარს და ექვსი დღის განმავლობაში უმასპინძლებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან წვეულ მეცნიერ-ფიზიოლოგებს, ფიზიოლოგიური კვლევის აღიარებული სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებს.

ხალხმეურნეობა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 18 საათზე საზეიმოდ გაიხსნება ფიზიოლოგთა XII საკავშირო ყრილობა. ამჟამინდელი ყრილობა იმით არის აღსანიშნავი, რომ მისი მუშაობა ემთხვევა ჩვენი სახელოვანი მეცნიერის, საბჭოთა ფიზიოლოგიის პატრიარქის, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის დამაარსებლის, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 1.200 დელეგატი, აგრეთვე სტუმრები უცხოეთიდან. ყრილობის მუშაობა წარიმართება შემდეგნაირად: გაიმართება ორი პლენარული და 64 სიმპოზიალური სხდომა. ერთდროულად სხვადასხვა აუდიტორიაში იმუშავებს 16 სხდომა.

სიმპოზიუმებზე წაკითხული იქნება 239 მოხსენება. თვითეულ სხდომაზე მოსმენილ იქნება 3-5 მოხსენება.

ქართველი ფიზიოლოგები უზელმძღვანელებენ 17 სიმპოზიუმს, სულ წაკითხული იქნება 19 მოხსენება თბილისიდან, მათ შორის შვიდი — ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებისა.

მეცნიერები გაერთიანდებიან ორმოც სექციაში, სადაც წაკითხული იქნება 447 მოხსენება, მათ შორის ოცდახუთი — ქართველი მეცნიერისა.

ახალი დიდი რაოდენობა სიმპოზიური სხდომებისა არც ერთ ყრილობას არ ახსოვს. ეს საშუალებას მისცემს მეცნიერებს ღრმად და დეტალურად განიხილონ ფიზიოლოგიის აქტუალური, უმნიშვნელოვანესი საკითხები. სექციურ სხდომებზე ძირითადად ახალგაზრდა მეცნიერები წარმოადგენენ თავიანთ ნაშრომებს. სპეციალური სხდომები მიეძღვნება ი. პერიტაშვილის, გამოჩენილი რუსი მეცნიერების, აკადემიკოსების ა. ანოხინის, ვ. პარინის, ე. ბაბსკის ხსოვნას.

თავისუფალ დროს ყრილობის მონაწილენი გაეცნობიან ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას, მოისმენენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტს, დაესწრებიან თეატრალურ სპექტაკლებს, ნახავენ საბჭოთა კავშირის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიებში გადაღებულ სამეცნიერო ფილმებს.

სტუმრები გაეცნობიან თბილისის არქიტექტურას, ისტორიულ ძეგლებს, მუზეუმებს, ხოლო 4 ოქტომბერს — ყრილობის დახურვის შემდეგ, მათთვის მოეწყობა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

ფსოფლიოს მეცნიერთა სიტყვა

ივანე ბერიტაშვილის ორიგინალური შრომები ფართოდ არის ცნობილი მთელი მსოფლიოს ელექტროფიზიოლოგებისათვის. პირადად მე მათ მუდამ უდიდესი სიამოვნებით კითხულობ.

მეცნიერის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში ყველა ჩვენგანისათვის იმის მაგალითია, რომ გამოკვლევა, მიმართული გავრცელებული თეორიის გამოცდისაკენ, სცილდება მის ფარგლებს და ფართო პორიზონტს იღებს მნიშვნელოვანი მიზნის მიხაღწევად.

მრავალი წლის მუშაობის მანძილზე, სულ ახალ მონაცემებს რომ იღებდა პირობითს კცევახა ან შესწავლაზე, მან ზუსტად გამოიკვლია ტვინის მოქმედება, როცა ტვინი აყენებდა ამოცანებს, რომლებიც გადაჭრას მოითხოვდნენ. მან თავისი ლაბორატორია აქცია ტვინის კვლევის ერთ-ერთ აღიარებულ ცენტრად.

ლორდი ე. ედრიანი,
ინგლისი, კემბრიჯი.

გულწრფელი მადლობა ღრმად პატივცემულ კოლეგას ივანე ბერიტაშვილს იმისათვის, რაც მან გვაჩუქა ყველას თავისი ცნობილი შრომების სახით.

მე თავიდანვე უდიდესი ინტერესით გადავეკვიდე თვალს მის ცნობილ გამოკვლევებს, განსაკუთრებით ნერვული სისტემისა და კუნთოვანი ფიზიოლოგიის დარგში. ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობდი მას.

ემილ აბდერგალდენი,
პალლე, გდრ.

ივანე ბერიტაშვილის კვლევითი მუშაობას მეთოდური სიზუსტე და დასკვნების მტკიცე, ურყევი სისწორე ახასიათებდა, რაც მის ნაშრომებს ნერვების ფიზიოლოგიის სფეროში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. ყოველთვის, როცა ვეყრდნობოდი მის გამოცდილებას, ვიცოდი, რომ მყარ ნიადაგზე ვიდექი.

პაულ გოფმანი,
ფრაიბურგი, გფრ.

მე ივანე ბერიტაშვილთან მრავალი წლის განმავლობაში ურთიერთობას ბედნიერება მქონდა. დიდად ვაფასებდი მას და ძალიან მიყვარდა. ჩემს მეხსიერებაში იგი მუდამ დარჩება, როგორც უდიდესი მეცნიერი და გულთბილი მეგობარი.

ფრიც ბუხტალი,
კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტი, დანია.

პროფესორ ი. ბერიტაშვილის შრომებით აღფრთოვანებული, მეცნიერისადმი ღრმა პატივისცემითა და სიმპათიით ვარ განწყობილი.

პროფესორი ვ. ბრემერი,
ბრიუსელი, თავისუფლების უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

ივანე ბერიტაშვილის მეცნიერული მოღვაწეობა საბჭოთა მეცნიერების განსაკუთრებული სიამაყე და ქართული უნივერსიტეტის დიდი სამკაულია. ყოველთვის მიკვირდა, რომ თვით ურთულეს და მძიმე პირობებშიც იგი პოულობდა დროს, იჩენდა მამაცობასა და დიდ სურვილს მუშაობისათვის, ეწეოდა მნიშვნელოვან კვლევითს სამუშაოს.

ფრიტც ვერცარი,
ბაზელის უნივერსიტეტი. შვეიცარია.

ეს უდიდესი მეცნიერი ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მეცნიერებისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულებითა და დაუცხრომელი ცხოველმოქმედებით.

იან ბურეში,
ჩეხოსლოვაკია.

ივანე ბერიტაშვილის მეცნიერული წვლილისადმი, რომელიც მან შეიტანა ნერვულ-კუნთოვან ფიზიოლოგიაში, ღრმა პატივისცემითა ვარ გამსჭვალული. ხშირად მიმიმართავს მისი შრომებისათვის ჩემს მიერ მიღწეული შედეგების ასახსნელად.

ხ. რანსონი,
ჩიკაგოს ნევროლოგიური ინსტიტუტი, ამერიკის შეერთებული შტატები.

უდიდესი და უხუცესი

წარუშლელი კვალი

უდიდესი და უხუცესი! — ასეთი წავიდა ჩვენგან თანამედროვეობის გამოჩენილი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი, რომლის მთელი ცხოვრება — ახალგაზრდობიდან ღრმა სიბერემდე მაგალითი იყო ყველასათვის, ხანდაზმულობის ეამსაც რომ კაბუკური გზნებითა და გატაცებით აგრძელებდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

დიდი რუსი მეცნიერის ნ. ვედენსკის სკოლის ტრადიციები რომ გააგრძელა, იგი მეცნიერებაში თავისი საკუთარი გზით წავიდა და შექმნა დამოუკიდებელი ფიზიოლოგიური მიმართულება, რომელიც დამოუკიდებელ სამეცნიერო სკოლად გადაიქცა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავის ტვინის ფიზიოლოგიაში ნაყოფიერად მუშაობდა დიდი მეცნიერი ი. პავლოვი.

წარუშლელია მის მიერ გავლებული კვალი, და ეჭვი არ არის, რომ მის მშობლიურ, ნოყიერ ნიადაგზე კვლავაც აღმოცენდება მრავალი ახალი ნაყოფი.

ე. კრეპსი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი.

ჩვენშიც აღფარდა

ჩვენი კვეყნის ჯამოჩენილი ფიზიოლოგის. ივანე ბერიტაშვილის სახელი ყველასათვის ძვირფასი და პატივსაცემია. მაგრამ განსაკუთრებით საყვარელია იგი ჩვენთვის, უკრაინელი ფიზიოლოგებისათვის, იმიტომ რომ მან ჩვენშიც აღზარდა მთელი პლეადა მოწაფეებისა. მან ხომ თავისი მეცნიერული მოღვაწეობა უკრაინაში, ოდესის უნივერსიტეტში დაიწყო და მის პირველ ნაშრომებს უმადლესი ნერვული მოქმედების სფეროში აქ ჩაეყარა საფუძველი. ოდესაში მეცნიერება ჩამოაყალიბა სპეციალური ლაბორატორია, შემოიკრიბა ფიზიოლოგიური მეცნიერებით დაინტერესებული და ამ მიმართულებით გაბალა კვლევითი მუშაობა.

შემდგომშიც არ გაუწყვეტია ივანე ბერიტაშვილს ურთიერთობა თავის უკრაინელ მოწაფეებთან. მას მჭიდრო მეცნიერული ურთიერთთანამშრომლობა აკავშირებდა ცნობილ უკრაინელ აკადემიკოს ვორონცოვთან, რამაც კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა უკრაინელ და ქართველ ფიზიოლოგთა მეცნიერულ მოღვაწეობაზე.

დიდ კმაყოფილებას გამოთქვამ იმის გამო, რომ ფიზიოლოგების ამჟამინდელი საკავშირო ყრილობა სწორედ თბილისში იმართება, ქალაქში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი მეცნიერი.

ფ. სერკოვი,
უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲒᲘ

ჩვენს პლანეტაზე ცოტაა ქვეყანა, სადაც არ გაეგონოთ ივანე ბერიტაშვილის სახელი. სულ ცოტაღა უკლია ოთხმოცდაათი წლისა გამხდარიყო მეცნიერული აზრის ეს ტიტანი — ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, სოციალისტური შრომის გმირი.

ი. ბერიტაშვილი ეკუთვნოდა იმ მეცნიერ ბიოლოგთა პლეადას, რომლებიც აღზრდილი იყვნენ მატერიალისტური ფილოსოფიის ტრადიციებზე. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ფილოსოფოსების და განმანათლებლების ა. გერცენისა და ნ. ჩერნიშევსკის მოღვაწეობის შედეგად რომ დამკვიდრდა.

რუსეთის ფილოსოფიური და ფიზიოლოგიური აზრის შემოქმედებითმა განვითარებამ განაპირობა სეჩენოვის, ედენსკის, პავლოვის, თარხნიშვილის, ორბელის, ბერიტაშვილის და სხვა მეცნიერ მკვლევართა მატერიალისტური შეხედულებების ფორმირება უმაღლესი ნერვული მოქმედების რთულ, გამოვლინებათა ფიზიოლოგიური საფუძვლის შესახებ. ი. ბერიტაშვილმა თავისი სამეცნიერო კარიერა დაიწყო პეტერბურგში, უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე, რომელსაც განაგებდა პროფესორი ნ. ედენსკი — რუსული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ა. სეჩენოვის მოწაფე. ბუნებრივია, ა. სეჩენოვის იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ი. ბერიტაშვილზე მიერ განვითარებულ ორგანითნერვულ მიმართულებაზე ფიზიოლოგიაში.

ძნელი და რთული იყო ი. ბერიტაშვილის ცხოვრების გზა.

დიაბადი სიღნაღის მაზრის ს. ვეჯინში, სადაც მიიღო დაწყებითი განათლება. შემდეგ — თელავის სასულიერო სასწავლებელი, თბილისის სასულიერო სემინარია, და, ბოლოს — პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, რომლის დამთავრებისთანავე დატოვეს ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ი. ბერიტაშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოაკვლია დიდი უხარი და სიბეჯითე მეცნიერული კვლევისადმი, რითაც ძიაპყრო პროფესორ ნ. ედენსკის ყურადღება. მან შეასრულა ფაქტები ამის თაობაზე, თუ როგორია კისრისა და ლაბირინთის ტონურ რეფლექსთა ურთიერთმოქმედება დაცვითი ხასიათის ფაზურ რეფლექსებთან.

1916-1919 წლებში ი. ბერიტაშვილი მოღვაწეობს ქ. ოდესაში, უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე, დოცენტად, იმავე წელს იგი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის გასაგეგ.

ოდესაში ლექციების კურსს რომ კითხულობდა კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგად ფიზიოლოგიაში და ეცდლობოდა ნ. ედენსკის, ნ. ბაგნუსის და აგრეთვე საკუთარი გამოკვლევების დროს მიღებულ შედეგებს, ი. ბერიტაშვილი წაწყდა ზოგიერთ შეუსაბამობის პირობითი რეფლექსების შესახებ ი. პავლოვის თეორიულ წარმოდგენებსა და ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების იმ კანონებს შორის, რომლებიც იმ დროისათვის მოთავსებოდა. ამიტომ მან გადაწყვიტა თვითონ ეწარმოებინა პირობითი რეფლექსების გამოკვლევები.

ი. ბერიტაშვილმა გამოიყენა ვ. ბეხტერევის მეთოდიკა ცხოველთა მოძრაობის აღსარიცხავად და ამ მეთოდიკის გამოყენებით ექსპერიმენტულად დაადასტურა ყველა ის ფაქტი, რომელიც ი. პავლოვის ლაბორატორიაში სანერწყვე ჯირკვლის პირობითი რეფლექსური მოქმედების შესწავლით იყო დადგენილი. მაგრამ ამასთან ერთად ი. ბერიტაშვილმა ახალი ფაქტებიც აღმოაჩინა, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს ი. პავლოვის მოძღვრებას. ეს მონაცემები გამოქვეყნდა 1922-1932 წლებში ქართულ, რუსულ, უფრო მოგვიანებით — ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ი. პავლოვის მოძღვრების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ი. ბერიტაშვილის იმ მოსაზრებას, რომ პირობითი რეფლექსური მოქმედების გარდა არსებობს უფრო მაღალი ფორმის უმაღლესი ნერვული მოქმედება, რომელსაც ი. ბერიტაშვილი ფსიქონერვული მოქმედების სახელით აღნიშნავდა. ასეთი მოქმედება თავს იჩენს არა გარეთიდან შედეგად, როგორც ეს პირობითი რეფლექსების გამომუშავების დროს ხდება. საკმარისია ცხოველმა ერთხელ აღიქვას სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ობიექტი, მაგალითად, საკვების ადგილმდებარეობა, რომ მას შეეძლოს ხატი, კონკრეტული წარმოდგენა ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ, ერთხელ აღქმული ობიექტის ეს ხატი არ იშლება და შემდეგ შესაძლებელი ხდება მისი რეპროდუქცია ამ გარემოში მოხეტიალისას ან ამ გარემოს რომელიმე კომპონენტის მოქმედებით: ცხოველი მაშინვე მირბის იმ ადგილისაკენ, სადაც მან ადრე საკვები ნახა ან ჭამა და თუ იქ საკვები დახვდა — შეჭამს კიდეც მას. ასეთ ქცევას, რომლის რეგულირება ხდება ხატის საშუალებით, ი. ბერიტაშვილმა ხატისმიერი ქცევა უწოდა.

ამ საკითხების შესწავლაში ი. ბერიტაშვილს დიდი დამსახურება გაუწია მის მიერვე შემუშავებულმა ცხოველის თავისუფალი მოძრაობის მეთოდიკამ.

ი. ბერიტაშვილმა დიდი დრო და ყურადღება დაუთმო ცენტრალურ ნერვულ სისტემაში აღმაზნებისა და შეკავების ურთიერთმოქმედებას. ამ საკითხების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველი ქცევითი აქტის ფორმირების თვალსაზრისით. განსაკუთრებით დიდი ინტერესით იკვლევდა ი. ბერიტაშვილი ეგრეთწოდებულ ზოგად შეკავებას. მართალია, ზოგადი შეკავების ფაქტი აღწერილი იყო ადრე ი. სეჩენოვის მიერ, მაგრამ მისი ბიოლოგიური არსის გახსნა ი. ბერიტაშვილს ეკუთვნის. საქმე ის არის, რომ, როცა ამოქმედდება კუნთების ერთი რომელიმე ჯგუფი, მოძრაობის დროს სხეულის მთელი დანარჩენი მუსკულატურა შეკავებას განიცდის. გამოირკვა, რომ ეს საჭიროა ზუსტი მოძრაობების შესასრულებლად.

ი. ბერიტაშვილის მეცნიერულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ელექტროენცეფალოგრაფიულ გამოკვლევებს, განსაკუთრებით 1941 წლიდან, და ყუმბარის ან ნაღმის აფეთქების დროს წარმოშობილი ეგრეთწოდებული ფეთქებადი ტალღის ორგანიზმზე გავლენის მექანიზმების შესწავლას.

ქართველი მეცნიერი იყო ერთი პირველთაგანი (1941), რომელმაც შეისწავლა უკუქცევითი შეკავება. საკმაოდ დიდი დრო (1951-1959) დაუთმო ი. ბერიტაშვილმა გარემოში ცხოველთა ორიენტაციის საკითხების შესწავლას. მან დაადგინა, რომ სივრცეში ორიენტაციისათვის მნიშვნელობა აქვს ყველა რეცეპტორს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხედველობისა და ხახეკარკალოვანი ორგანოს რეცეპტორებს. ამ გამოკვლევებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმონავტიკისათვის.

ი. ბერიტაშვილის უკანასკნელი ძალიერი გატაცება იყო ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერების შესწავლა, თუმცა ამ პრობლემას იგი 40 წლის წინათაც შეისწავლიდა. ამ საკითხის შესასწავლად იგი ცდიდა სხვადასხვა ცხოველებს თევზებით დაწყებული და უმაღლესი ძუძუმწოვრებით გათავებული. მდიდარი ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე ი. ბერიტაშვილმა მოგვაწოდა მეხსიერების ორიგინალური კლასიფიკაცია და შექმნა საყურადღებო თეორია მისი წარმოშობის შესახებ, მან გვიჩვენა, თუ როგორ თანდათანობით ისახებოდა, რთულდებოდა, სრულყოფილი ხდებოდა ყველა სახის მეხსიერება — ხატისმიერი, ემოციური და პირობითრეფლექსური. ყოველივე ეს ი. ბერიტაშვილს გააზოგადებული აქვს მონოგრაფიაში, რომელიც რუსულ ენაზე გამოვიდა 1968 წელს, შემდეგ 1971 წელს ვაშინგტონში გამოვიდა, ინგლისურად თარგმნილა, და მეორე, გადამუშავებული გამოცემა, რუსულად — 1974 წელს, მოსკოვში. ი. ბერიტაშვილი მეტად დაინტერესებული იყო ცხოველთა გონიერი მოქმედების შესწავლით. მან შეგვიდგინა ამ საკითხების შესწავლის სპეციალური გეგმა, რომლითაც ჩვენ დღესაც ვსარგებლობთ. ი. ბერიტაშვილის მეცნიერული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო ამის ძიება, თუ ტვინის რომელი სტრუქტურები იღებენ მონაწილეობას ორგანიზმის ამა თუ იმ მოქმედებაში.

ძნელია საგაზეთო წერილში სრულად გადმოცემა ამ მეცნიერული შემოქმედებისა, რაც ასახულია მის მიერ გამოქვეყნებულ 400-მდე ნაშრომში. ამ ნაშრომთაგან 33 მონოგრაფია და სახელმძღვანელოა. ძნელია ასეთი წერილში სრულყოფილად დაახასიათოთ ღვაწლი სამი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა. ამავე დროს ი. ბერიტაშვილი იყო საპატიო წევრი ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიისა, ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოებისა, ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოებისა, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციისა, საკავშირო ფიზიოლოგთა საზოგადოებისა, სომხეთის სსრ ფიზიოლოგთა საზოგადოებისა და სხვა რესპუბლიკების ფიზიოლოგთა საზოგადოებებისა; იგი იყო სახელმწიფო პრემიის, პავლოვისა და სეჩენოვის სახელობის პრემიების ლაურეატი, ლენინის ორი ორდენის, შრომის წითელი დროშის ორი ორდენისა და რამდენიმე მედლის კავალერი, მეცნიერებადამოგი და საზოგადო მოღვაწე. ი. ბერიტაშვილმა შორს, საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გაიტანა თავისი საშობლოს სახელი და მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

90 წლის ასაკის, მაგრამ უშრეტი ენერგიის ადამიანს, შემოქმედებითი შთანაფიქრებით აღსავსეს, სახელგანთქმულ ფიზიოლოგს და დიდ მეცნიერს, მეცნიერების ნიჭიერ ორგანიზატორს, ბრწყინვალე მასწავლებელსა და ნატიფ სულის პიროვნებას ალბად შეეძლო ბევრი რამ მიეცა მშობლიური მეცნიერებისათვის, რისთვისაც ის ცოცხლობდა და ქმნიდა.

ი. ბერიტაშვილმა დაგვიტოვა დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა და ჩვენ, მისი მოწაფეები, ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ განვავითაროთ იგი.

ა. ბაკურაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

იგონებენ მასწავლებელს, მეგობარს

გაუტეხელი ხასიათი

ორმოცი წლის წინათ ივანე ბერიტაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაბადებიდან 50 წლის და მეცნიერული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადა. საიუბილეო საზეიმო სხდომის გახსნა და შესავალი სიტყვის თქმა მე დამევალა.

ელოდა, ამ დროისათვის არც ისე იყო მოზშირებული იუბილეები, რომ გამოცდილება მქონოდა.

დარბაზში ხალხი მრავალად იყო. პრეზიდიუმში ივანეს გვერდით ვიჯექი. რამდენჯერმე გადავხედე, მშვიდად იყო, თითქოს ეს დღესასწაული მისი არ ყოფილიყო.

ჩვენი ბიოლოგიური მეცნიერება ქართულ დარბაზს შევადარე. ეს დარბაზი ადვილად დაინგრევა, თუ თავხეები და კოკები მუხისა არ ექნება და, რაც მთავარია, თუ დედამიწიც მუხისა არ ექნება-მიწა. ივანე ჩვენი მეცნიერების დედამთია და სწორედ მუხისა-მიწა. იქვე მოვაყენენ თქმულება მუხისა და დარბაზის შესახებ... შემდეგ კი ივანეზე უფიქრიან ღვაწლი მეცნიერებაში. ვხედავ, იღიმება ბატონი ივანე. ცოტა არ იყოს გამიკვირდა.

მომხსენებელს სიტყვა რომ მივეცი, ივანემ მკლავზე ხელი მოგვიდა, თავისკენ მიმახედა და გაღიმებულმა მკითხა:

— შენ, კაცო, საიდან იცი მაგისთანა რამეები?

— ხალხისგან, ბატონო ივანე!

— იცი, კარგია, ქართველია.

ჩვენ კი ზოგჯერ ვფსაყვედურებდით მას ქართულის თითქოსდა უყურადღოყოფას.

ივანე მიზანსწრაფული იყო როგორც მეცნიერებაში, ისე პედაგოგიურ მოღვაწეობაში. როგორც ფეკანს, ხშირად მისაყვედურებდნენ, ფაკულტეტზე წარმატების პროცენტი დაბალი გაგსო. ეს კი ივანე ბერიტაშვილის საგნის გამო იყო, არავითარ შემოხვევაში უცოდინარს ამეკვათს არ მისცემდა, და ეს შესანიშნავი თვისება დღეს რომ ბევრმა გითხესნოს და გამოიყენოს, ძალიან კარგი იქნება.

ერთხელ მეცნიერს ეუთხარი:

— ბატონო ივანე, მალე გამოცდაა დაიწყება, იქნებ ერთ-ერთ თქვენს თანაშრომელს დაავალოთ, დამატებით ამეცადინოს სტუდენტები.

— იცი, სტუდენტმა თვითონ უნდა ამეცადინოს და თვითონ უნდა მოიწმინდოს ოფლი. ცოდნას მაშინ შეძენენ მხოლოდ.

შეეხედე, კოპაშვილური იყო.

— ეჰ მართალია, ეეთანხმებიმ.

— გამოცდებს მე მივიღებ.

ბაღლიმა და ნათელი გადაეფინა სახეზე. აი ასეთი იყო, პრინციპული.

ცოტა რომ ამოისუნთქა, შრომის ამ ორატორიაში ძველი ქართული (X-XII სს.) მეცნიერული წიგნების შესწავლას მიაყო ხელი. წლის თავზე პეტრიწონის, მთაწმინდელისა და სხვათა შესახებ გამოსცა წიგნი, რომელშიც განხილული იყო ამ წინაპართა საბუნებისმეტყველო შეხედულებანი.

აქის შემდეგ კვლავ განაგრძო დიდი მეცნიერული მუშაობა.

აქ მოვიგონე მხოლოდ ორი მოვლენა. ასეთი კი მრავალი იყო ორმოცდახუთი წლის მანძილზე, როცა მის მხარდამხარ მიხდებოდა მუშაობა ჯერ როგორც ფაკულტეტის დეკანს, მერე — რექტორს, აკადემიის პრეზიდიუმის წევრს, და არ მახსოვს, რომ თავისი პრინციპული შეხედულებათაგან ეღალატოს.

აკადემიკოსი
ნ. კეცხოველი.

ᲛᲐᲥᲘᲔᲑᲔᲚᲘ



ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲔᲠᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ პირველად გავიცანი სტუდენტმა 1922 წელს. ვუსმენდი მის ლექციებს ფიზიოლოგიაში. პირველი ლექციიდანვე იგი ჩვენს წინაშე წარმოსდგა როგორც ერუდირებული, მეცნიერებისათვის თავდადებული მასწავლებელი. რამდენიმე წლის შემდეგ ი. ბერიტაშვილმა მიიწვია უნივერსიტეტთან ახლად დაარსებულ ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. ჩემი მეცნიერული ინტერესები დაუკავშირდა ფიზიოლოგიური მოვლენების ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლას და მის აქეთ ოთხი თეული წლის მანძილზე ყოველდღიურ ურთიერთობაში ვიყავი ამ შესანიშნავ ადამიანთან.

როგორც პიროვნები, ი. ბერიტაშვილი ხასიათდებოდა მთელი რიგი ისეთი ნიშნებით, რომლებითაც ის მკვეთრად განსხვავდებოდა სხვებისაგან. ეს ნიშნები, ცალკე აღებული, შესაძლებელია ბევრს ჰქონდეს, მაგრამ მეცნიერში ისინი იმნაირად იყო შერწყმული, რომ ის დაწინაურდა და შეძლო მეცნიერებაში ღრმა კვალი დატოვებინა. უპირველეს ყოვლისა, მას ჰქონდა გამახვილებული მაძიებელი გონება. როდესაც მას ახალი აზრი დაებადებოდა, მოსვენებას ვერ პოულობდა, ვიდრე პრობლემის გადაწყვეტამდე არ მივიდოდა. მეცნიერულ საკითხებში უაღრესად პრინციპული, ისინი ოდესმე უკან არ დაეხევდა, თუ გრძნობდა, რომ ის მართალია. მაგრამ თუ რწმუნდებოდა, რომ ცდებოდა, ადვილად აღიარებდა თავის შეცდომას.

ი. ბერიტაშვილი ამ სახელოვან ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქართული ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. საგულისხმოა ის გარემოება, რომ იგი აღიზარდა და მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ჩვენში. სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მან სამშობლოში გაატარა. ყველაფერი ეს კიდევ უფრო ძვირფასსა ხდის და ამაღლებს მის სახელს.

პ. ქომეთიანი,
— აკადემიკოსი.

ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲡ

ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ არის გადაღებული, აღბეჭდილნი არიან ჩვენი სახელოვანი მეცნიერები — აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალ. ჯაფარიძე, აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. შანიძე.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲔᲠᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ორიგინალური შრომები ფართოდ არის ცნობილი მთელი მსოფლიოს ელექტროფიზიოლოგებისათვის. პირადად მე მათ მუდამ უდიდესი სიამოვნებით კკითხულობ.

მეცნიერის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში ყველა ჩვენგანისათვის იმის მაგალითია, რომ გამოკვლევა, მიმართული გავრცელებული თეორიის გამოცდისაკენ, სცილდება მის ფარგლებს და ფართო პორიზონტს იღებს მნიშვნელოვანი მიზნის მიხაღწევად.

მრავალი წლის მუშაობის მანძილზე, სულ ახალ მონაცემებს რომ იღებდა პირობითს კცევახა ან შესწავლაზე, მან ზუსტად გამოიკვლია ტვინის მოქმედება, როცა ტვინი აყენებდა ამოცანებს, რომლებიც გადაჭრას მოითხოვდნენ. მან თავისი ლაბორატორია აქცია ტვინის კვლევის ერთ-ერთ აღიარებულ ცენტრად.

ლორდი ე. ედრიანი,
ინგლისი, კემბრიჯი.

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ მადლობა ღრმად პატივცემულ კოლეგას ივანე ბერიტაშვილს იმისათვის, რაც მან გვაჩუქა ყველას თავისი ცნობილი შრომების სახით.

მე თავიდანვე უდიდესი ინტერესით გადავეკვიდე თვალს მის ცნობილ გამოკვლევებს, განსაკუთრებით ნერვული სისტემისა და კუნთოვანი ფიზიოლოგიის დარგში. ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობდი მას.

ᲔᲛᲘᲚ ᲐᲑᲓᲔᲠᲒᲐᲚᲓᲔᲜᲘ,
პალლე, გდრ.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲔᲠᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ კვლევითი მუშაობას მეთოდური სიზუსტე და დასკვნების მტკიცე, ურყევი სისწორე ახასიათებდა, რაც მის ნაშრომებს ნერვების ფიზიოლოგიის სფეროში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. ყოველთვის, როცა ვეყრდნობოდი მის გამოცდილებას, ვიცოდი, რომ მყარ ნიადაგზე ვიდექი.

ᲞᲐᲣᲚ ᲒᲝᲤᲛᲐᲜᲘ,
ფრაიბურგი, გფრ.

მე ივანე ბერიტაშვილთან მრავალი წლის განმავლობაში ურთიერთობას ბედნიერება მქონდა. დიდად ვაფასებდი მას და ძალიან მიყვარდა. ჩემს მეხსიერებაში იგი მუდამ დარჩება, როგორც უდიდესი მეცნიერი და გულთბილი მეგობარი.

ᲤᲠᲘᲪ ᲑᲣᲮᲢᲐᲚᲘ,
კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტი, დანია.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ი. ბერიტაშვილის შრომებით აღფრთოვანებული, მეცნიერისადმი ღრმა პატივისცემითა და სიმპათიით ვარ განწყობილი.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Ვ. ᲑᲠᲔᲛᲔᲠᲘ,
ბრიუსელი, თავისუფლების უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲔᲠᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მეცნიერული მოღვაწეობა საბჭოთა მეცნიერების განსაკუთრებული სიამაყე და ქართული უნივერსიტეტის დიდი სამკაულია. ყოველთვის მიკვირდა, რომ თვით ურთულეს და მძიმე პირობებშიც იგი პოულობდა დროს, იჩენდა მამაცობასა და დიდ სურვილს მუშაობისათვ

ასე იქცევიან ჩვენი მეომრები

დამნაშავე ვერ დაიმალა

იაგოტინის სადგურის ბაქანზე მგზავრები ელოდნენ კიევისაკენ მიმავალ ელექტრომატარებელს. აქ ცოლთან ერთად იყო კაპიტანი პ. ხადაკოვიც, რომელიც აქ შვებულებით ჩამოვიდა ამიერკავკასიიდან.

— ის არის — უცებ წასჩურჩულა ქმარს გაფითრებულმა ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც ანშნა წვერგაუპარსავ პირქუშ მამაკაცზე.

— ნამდვილად ის არის? ხომ არ შეგეშალა?

— არა. ის არის...

— კეთილი. აქ იყავი.

კაპიტანი სწრაფად გაემართა უცნობისაკენ. მაგრამ იმან ეს შეამჩნია და სირბილით დატოვა ბაქანი...

ოფიცრის ცოლი თვალს არ აცილებდა ქმარს. მან იცოდა: წვერგაუპარსავი მძარცველია, გუშინ საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდა, მოსახვევში დახვდა, დანით დაემუქრა და საფულე წაართვა. რა თქმა უნდა, ბანდიტი შეიარაღებულია, გასაგები იყო მისი მღელვარება.

ამასობაში კაპიტანი პ. ხადაკოვი დაეწია უცნობს. იგი მიხვდა, რომ ვერ დამალებოდა, ჯიქურ წამოვიდა ოფიცრისაკენ და დანა მოუღერა.

ოფიცერი არ დაბნეულა. ელვის სისწრაფით განაიარაღა დამნაშავე და მილიციის განყოფილებაში მიიყვანა.

გავიდა ცოტა ხანი, ცოლ-ქმარი ხადაკოვები შვებულებიდან დაბრუნდნენ. და აი კიევის ოლქის ბიგოტინის სახლოო სასამართლოდან იმ ნაწილის მეთაურმა, სადაც ოფიცერი მსახურობდა, მიიღო წერილი. წერილში ლაპარაკი იყო ოფიცრის გაბედულ საქციელზე.

მძარცველი აღმოჩნდა ვინმე ლ. ბაკლანი. ჩადენილი დანაშაულობებისთვის იგი ორჯერ იყო ნასამართლევი. ბიგოტინის სახალხო სასამართლოს განაჩენით მას მესამედ მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით.

ნაწილის მეთაურმა კაპიტან პ. ხადაკოვს მადლობა გამოუცხადა, იგი დაჯილდოებულია სიგელით.

თვითმფრინავი დროზე გაფრინდა

ავიაციის სპეციალისტის ნ. ტრუსოვის სამუშაო დღე მთავრდებოდა. იგი ფრენისთვის ამზადებდა თვითმფრინავს, მაგრამ მექანიკოსმა გადაწყვეტა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა ყველა სისტემა. გახსნა სათბობის ავზი და უცებ შეამჩნია, რომ სათბობი ნორმაზე ნაკლები იყო. აღმოჩნდა, რომ სათბობი სისტემის ერთ-ერთი ელემენტი მწყობრიდან გამოსულიყო.

უწესივრობა სწრაფად აღმოფხვრეს. თვითმფრინავი დროზე გაფრინდა დავალების შესასრულებლად.

საბუთები არ დაკარგულა

სერჟანტ ვალერი გავრილინს გაუთავდა ქალაქში დათხოვნის დრო, და იგი ნაწილში ბრუნდებოდა. უცებ ტროტუარზე შეამჩნია საფულე. საფულეში იყო ვანე ჭინჭარაულის სხვადასხვა საბუთები და კიდევ რაღაც, შესაძლოა ფული, — გავრილინს საფულის დათვალიერების დრო არ ჰქონდა

სერჟანტმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ახლომახლო მილიციის მუშაკები ვერ დაინახა. რა ქნას? მიეტანოს საფულე მილიციის განყოფილებაში? მილიციის განყოფილება შორს იყო, დრო კი აღარ ჰქონდა. და გავრილოვმა გადაწყვიტა ნაწილის მეთაურისათვის მეტანა ნამოვნი. ასეც მოიქცა.

მეორე დღეს ეს ამბავი შეატყობინეს მილიციის განყოფილებას. იქ იხილეს კაცი, რომელმაც დაკარგა საბუთები და დაუბრუნეს მას.

მალე ნაწილში მოვიდა მეფრინველეობის ფაბრიკის შოფერი ივანე ჭინჭარაული. მან გულითადი მადლობა გადაუხადა სერჟანტ გავრილინს.

ადამიანი გადაარჩინეს

რიგითი ჯარისკაცები კამილ ფარზალიევი, ირაკლი ხანთაძე და სხვები ელექტრომატარებლით ებრუნდებოდნენ ნაწილში. ფარზალიევმა მოხერხებულად მოიკალთა ფანჯარასთან და ათვალიერებდა გაჩერებებს. მატარებელი დაიძრა. და უცებ ფარზალიევმა დაინახა, რომ დაგვიანებული მგზავრი დაეწია ელექტრომატარებლის ვაგონს და ახტომა სცადა. მაგრამ ეს ვერ შეძლო და პლატფორმასა და დაძრულ ვაგონს შორის აღმოჩნდა. თითქოს გარდუვალი იყო კაცის დაღუპვა.

ელვისებური იყო მეომრის რეაქცია. მან თავის ამხანაგებს ორი სიტყვით აუხსნა საქმის ვითარება, თვითონ კი სტოპ-ონკანს მივარდა და სახელური გადმოსწია. ელექტრომატარებელი გაჩერდა.

რიგითი ჯარისკაცი კამილ ფარზალიევი და მისი ამხანაგები პირველნი ჩამოჩნდნენ დაშავებულთან, გამოიყვანეს ვაგონის ქვემოდან და უახლოეს საავადმყოფოში მიიყვანეს. (საქინფორმი).

ბიჭვინთის ტაძარში

... და აღდერდება ბახის ჰანგები

ბიჭვინთის ტაძარში დაიდგა და აწყობენ გერმანულ დიდ ორღანს, რომელიც დაამზადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო საწარმოს პოტსდამის ფირმამ „ალექსანდრ შუკემ". ფირმა, რომელიც უკვე საუკუნენახევარია არსებობს, მსოფლიოში ამ ყველაზე მძლავრი მუსიკალური ინსტრუმენტის ერთ-ერთი ძირითადი მაწყობელია.

ბიჭვინთის ტაძარში დადგმული ორღანი ყველაზე დიდია იმით შორის, რომლებსაც ფირმა ამზადებს. აქვს 54 რეგისტრი და სამი კლავიში, შედგება 3.910 მილისაგან. მისი სიმაღლე 11 მეტრია, წონა — 20 ტონა. ფირმა „ალექსანდრ შუკე" წელიწადში ამზადებს სულ 16 რთულ ინსტრუმენტს. ინსტრუმენტების მაღალხარისხოვნად დამზადების გამო ფირმის ახლანდელი ხელმძღვანელი პანსიოხამ შუკე დაჯილდოებულია ოქროს „ვერ-ის წინაშე დამსახურებისათვის".

გავა კიდევ ცოტა ხანი, და ბიჭვინთის ძველ ტაძარში აღიდგება ბახის საზეიმო ფუგების ჰანგები. „ინსტრუმენტების მეფე" — როგორც ორღანს უწოდებენ, ტაძარში მიიზიდავს კლასიკური მუსიკის მეგრ მოყვარულს.

სურათებზე: მარჯვნივ — ორღანი ბიჭვინთის ტაძარში; მარცხნივ — ამწყობები — პენრიხ ფალდბრეხტი (მარცხნივ) და გერნოდ შმიდტი მუშაობენ ახალი ორღანის აწყობაზე.

ვლ. გინზბურგი.



პირველად თბილისში

[illegible] 1-5 ოქტომბერს თბილისში უნდა გაიმართოს საჭადრაკო კომპოზიტორთა (პრობლემისტებისა და ეტიუდისტების) XVIII საერთაშორისო კონგრესი, რომლის წარმატებით წარმართვა დიდად არის დამოკიდებული სპეციალურად შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობაზე. ჩვენი კორესპონდენტი ვ. ნეიდ შეხვედა და ესაუბრა ამ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, თბილისის მწრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ხ. რუხაძეს.

— საჭადრაკო კომპოზიტორთა ასეთი დიდი საერთაშორისო შეკრება საბჭოთა კავშირში შეორედ ტარდება. პირველად ეს მოხდა 1961 წელს მოსკოვში. და ახლა, თოთხმეტი წლის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ისევ მასპინძლობს მსოფლიოს გამოჩენილ საჭადრაკოპოეტებს. რაშ განაპირობა თბილისის არჩევა კონგრესის საბუნაო ადგილად?

— ალბათ, ძირითადად ორმა ფაქტორმა. პირველი — საქართველოს დედაქალაქი თავისი ისტორიული წარსულით, დღევანდელი კულტურულ-ეკონომიური მდგომარეობით და, ასე გასინჯეთ, ორიგინალური ლანდშაფტურ-არქიტექტურული იერით მრავალ ენახველს იზიდავს. ამ ე. წ. ტურისტული მიმზიდველობის გარდა საყურადღებოა მეორე ფაქტორიც. თბილისი საჭადრაკო კულტურის მეტად თვალსაჩინო ცენტრია. და ამ სასახელო ფუნქციის შექმნა არა მარტო ქალთა ძლიერი საჭადრაკო სკოლის არსებობით, არამედ საკომპოზიციო და კერძოდ, ქართული საეტიუდო ხელოვნების მაღალი დონით არის გამოწვეული. ამასთან ქალაქის საინტერესო სეზონთმოძღვრული ნიშნები — ჭაღრაკის სასახლე ყველა პირობას ქმნის კონგრესის წარმატებით ჩატარებისათვის.

— რას გვეტყვით კონგრესის სტუმრების შესახებ?

— ფიდე-ს შუამავალმოქმედი საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისია, რომელიც თბილისში შეიკრიბება და XVIII კონგრესის სახელით იმუშავებს, შეგვაქვს ავტორიტეტული ორგანიზაციაა და თავის რიგებში ოცდაათამდე სახელმწიფოს აერთიანებს. ფორუმზე ჩამოვლენ საკომპოზიციო ხელოვნების ისეთი მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლები, როგორიც არის ინგლისი, იუგოსლავია, გფრ, ჩეხოსლოვაკია, აშშ, ჰოლანდია, საფრანგეთი, უნგრეთი, შვეიცია, პოლონეთი, დანია, რუმინეთი, გდრ, ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი და, რასაკვირველია, საბჭოთა საამოცანო და საეტიუდო სკოლების გამორჩენილი მოღვაწენი.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ფორუმი „თბილისი-75" ლირსეულ სახელს დაიმკვიდრებს საკომპოზიციო ხელოვნების მატიანეში.

— ფორუმის წარმატებას და მის მნიშვნელობას პირველ რიგში, ალბათ თვით სასუშაო პროგრამა და საქმიან-მეგობრული ვითარება გადაწყვეტს. ჩვენ კი მასპინძლებს, მოგვეთხოვება ზედმიწევნით შეიტანოთ ხელი კონგრესის მუშაობის; საინტერესო და სამასსოვრო გავმხდარიყოთ.

მაღლიერება

პარეს ძმნი, ქვაზე დადგ, გამოიკვლი, ფინ დაბსვლებ.

ხალხური.

პარეს ახლოს ვეტოვრობ. ყოველ დილით ახლო-მახლო უბნებიდან ამ შშვენიერი ადგილისაკენ მოეშურებიან ყველა ასაკის ადამიანები. ისინი, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილნი, საუკუნოვან ხეებქვეშ ისვენებენ, დარბიან, ვარჯიშობენ, თავს ფქვევენ...

ერთ დილას ადრიანად ჩავედი პარკში. ხაიდანღაც ძაღლის განწირული ყეფა, წკმუტუნი შემოესმა... მივდექ-მოვდექი, მიმოვიხედე, მაგრამ ვერაფერი დავინახე. ისევ განვაგრძე ვარჯიში და კვლავ წკმუტუნმა, ყეფამ შემაჩერა... გადავიხედე აუზში და შიგ ჩავარდნილი თეთრკუდა შავი ძაღლი შევნიშნე. გალუმპული, მეტისმეტად გადაჭანცული უახლოვდებოდა სანაპ�ბავშვების აუზის სიპ კედელს, ცდილობდა ბრჭყალებით მოკიდებოდა, მაგრამ თათები უსხლტებოდა და ისევ შიგ წყალში მოადენდა ხოლმე ტყაპანს...

შემებრალა უმწეო ხულდგმული და მაშინვე გამოვეხმაურე თეთრკუდას— თითებმა. აუტკაცუნე, გავამხნევე, შველას შეგპირდი... ამასობაში გადავიხარე, კისერში წავაბალე ხელი. მან მძულვარებით შემომიღრინა, წამოიწია საკბენად...

— გავკვირდი — მისი ხსნა მსურდა, შველა მოვიწადინე და, წარმოდგინეთ, არ ინება! ნეტავი რა იყო ამის მიზეზი? იქნებ აუზში ადამიანმა ჩაავდო და იმას მიმამსგავსა?

შეიძლება!...

მაინც არ მოვეშვი. გულწრფელად და ალერსით კუნძმობდი და ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ მე მისი შველა, ბადარჩენა მჭირდა ბანზრახული. თითქოს ყველაფერს მიხვდა, გაიჯო, მოცურდა აუზის კიდემდე. ნაღვლიანი მუდარით, ცრემლით აღსავსე თვალებით შემომცქერიდა. ამ დროს სწრაფად და მთელი ძალით ვწვდი, ჩავავლე კისერში ხელი. ამოვწიე და ამოვიყვანე.

ძაღლი ძლივსღა სუნთქავდა და ყოველგანახი წამოდგა.

მე ჩემი მოვალეობა მოვიხადე...

მეორე დღეს, ვარჯიში რომ დავამთავრე და შინისკენ დავაპირე წასვლა, თეთრკუდა გამომეცხადა. გაბმულად დაიწკმუტუნა, ჯერ წინ დამიკუდა, თვალებს ახამხამებდა, ღაწვებზე ცრემლი სდიოდა, ერთსა და იმავე დროს თითქოს ტიროდა და მხიარულობდა ერთ-ერთი ძველი ბოეტის სიტყვები ავიმუტდა, ბარს შემომაყრა და როცა მივუალერსე, თვალები მინაბა, კუდი აქიმა, შეათამაშა, მერე თავი დახარა და ფეხებზე მიმეკრა...

ამ ამბავმა რატომღაც ერთი ძველი ბოეტის სიტყვები გამახსენა და თვალი ეს ხალამი თავიდან ბოლომდე მოვიშორე:

თვითონ ძაღლსაც ეხსომება
შენი ლუკმის გემო,
შენს პატივს არ დაივიწყებს,—
თუნდ ყოველდღე სცემო,
და კაცი კი, ზოგი კაცი,
რომ გადაჰყვე თანაც,
ხულ პატარა წყენისათვის
ულს გაგიყრის დანაც.

გ. პაპიაშვილი.



მხატვარი ა. კანდელაკი.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ჩვენს განყოფილებაში თითქოსდა საგანგებოდ შეარჩია თვითეული ჩვენგანი, ფსიქოლოგთა ენაზე რომ ვთქვათ, თანამშრომელთა სოციალური მოკრძალებული ჩამოყალიბა, რათა იქვე, სამეცნიერო დაწესებულებაშივე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში გარკვეულიყო.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩვენი განყოფილება წარმოების სფეროში პირველადი შრომითი კოლექტივის პირობებში მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემების სწავლობს, პიროვნების, ჯგუფის, კოლექტივის შესაძლებლობათა სოციალურ გამოკვლევას აწარმოებს.

ჩვენი განყოფილების მუშაკებს — ჯგუფის უფროსს ჯუნა ჯანდიერს და უმცროს მეცნიერთანამშრომლებს: ჯაბას, ტასოს, ზაალს, მთვარისას, ლარას და მე უფრო ვიწრო განსხვავებულ ტიპებად საკითხების კვლევა, რასაც ფსიქოლოგები და სოციოლოგები „სოციომეტრიას" ეძახიან

მოგეხსენებათ, ადამიანები, თვითეული ჩვენგანი, ბარკვიელ მიდრეკილებას, ხიმპათიას იჩენს ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენისადმი. მაგალითად, თუ გამოვიკვლევთ ვისთან ხურს, ან არ ხურს სუბიექტს სამუშაო ოთახში ჯდომა და მასთან ერთად მუშაობა, შეიძლება მის სიმპათიებზე და ანტიპათიებზე ლაპარაკი. ხოლო თუ ეს ხასიათურებრივი მოვალეობის შესრულებას ეხება. შრომის ნაყოფიერებაზე უშუალო შეგავლენას ახდენს.

აი, სწორედ ამას ეწოდება „სოციომეტრია", რაც ბერძნულად ამხანაგის, კომპანიონის შესწავლა-გამოკვლევას ნიშნავს.

ჩვენი დაწესებულების მოსამსახურეთა ჯგუფი — ეს მართლაც და თავისებური, ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია, ხოლო ჯუნა ჯანდიერი მისი ლიდერია, მისი გული და გონებაა.

...იმ დღის შესვენების დამთავრებას ათიოდე წუთიღა აკლდა, განყოფილებაში „დისკუსია" რომ დაიწყო.

განყოფილების უფროსი ჯუნა ჯანდიერი ოთახის კუთხეში მიდგომულ მაგიდას უჯდა. რაღაც ჭაღალდებს არწევდა. ტასიკო, როგორც ყოველთვის, თავის კუთხეში მიყუჩებულიყო და პაპარა სარკეში საკუთარ თვალწარბ-ეაწყაბს აკვირდებოდა (უკვე მერამდენედ იმ დღეს!).

ზაალი ერთ-ერთი ბურუსაზოული ჭვეშნის ტოლფადაციების საერთო ტონუსს სწავლობდა. ლარა ბოლო გამოკვლევების დოკუმენტაციას არჩევდა. მთვარისა პროფჯგუფორგის საქმეებს აგვარებდა, მალე ეროვნულ-შერეულ ორგანიზაციებში ნაგარეშვებიარჩევნები უნდა გამართულიყო, წინგანაკეში მარკების აკრავდა. მე, როგორც ყოველთვის, გუშინდელ ნამუშევარს, წაკითხულ-გაგონილს თავს ვუყრიდი, რაღაცას ვინიშნავდი, მოკლედ რომ ვთქვათ, რაღაცას ვჯდებინდი, ხოლო, რას და რისთვის, რომ გვიკითხავ, კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდებოდა:

— ლიდერი შრომითს კოლექტივში შეიძლება სრულიად შემოხვევით გამოვლინდეს, სიტუაციაზეა დამოკიდებული, — ტასიკომ ნეკით წამწამი აიპრიხა, პომადაწასმული წითელი ტუჩები მოილოკა.

— რაგინდ მცირე მასშტაბისაც უნდა იყოს ხელმძღვანელი, მისი ლიდერობა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი პირადი ღირსებების გარდა ბევრად არის დამოკიდებული, ჯგუფზე, კოლექტივზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, — შეეკამათა ჯაბას მისი მუდმივი ოპონენტი ზაალი.

— არ გეთანხმები, ძმაო, ლიდერად უნდა დაიბადო. მორჩა და გათავდა. — დასკვნა ჯაბამ.

— ეგ მთლად ობიექტიური აზრია... ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული დებულება, იდეალისტური სენტენციებით შეკაზმული ერუდიცია გამოიჩინე მე.

— აი, მაგალითისთვის თუნდაც ჩვენი შეფი ავიღოთ. საშსახურში დროზე მოდის და სამსახურიდან — იმიტომ, რომ თვითონ თავი არ უყვარდა.

— არ გეთანხმები... მაშ ის რაღორ იყო, ამასწინათ გამოკვლევა რომ დაგვიწუნა, კონკრეტული არ არის, ზერელე, დაუსაბუთებელი ნამუშევარიაო. მერე კი დღე და ღამე ჩვენთან ერთად მუშაობდა, თვითონ ნასასწორა ნაშრომი.

— უყვარს ყველაფრის თავიბეჯარად კეთება და იმიტომ, — თავისას არ იშლიდა ლარა.

— მაგ შემთხვევაში ნაჩქარევი ფიდაწყვეტილება მიიღო, კიცმა რომ თქვას, არც თუ მთლად გაბედული და პრინციპული.

— საერთოდ არ ახასიათებს მას არც გამბედაობა და არც პრინციპულობა!

— შტატების მომატებაზე დარბის ფინანსთა სამინისტროში, კარგი კაცია, ძმაო, ვერაფერს იტყვი.

— რა არის აქ გასაკვირი?... მთელი ინსტიტუტის ტაბანს ჩვენი განყოფილება ზიდავს! — დასკვნა ზაალმა.

— ხიტყვამ მოიტანა და, ჯუშინ შეფმა ტელეგრამა მიიღო „ბლაკვიდან", რატომ აგვიანებთ სამეცნიერო რეფერატის გამოგზავნასო. — სიცილეს ამენო ჯანდიერმა განყოფილების მუშაკებს.

— მერე და ჩვენ რა შუაში ვართ...

— გაიკვირვა მთვარისამ.

ამ დროს კარი გაიღო და, არავინ რომ არ მოელოდა, ოთახში შეეხე შემოვიდა, თან სამეცნიერო დარგში მოაღგილე შემოპარვა.

— გამარჯობათ, ბატონებო! — მიესალმა იქ მყოფთ.

ყველა უნებურად ფეხზე წამოვდექით.

— ბატონებო ჯუნა! — მიმართა ხან-განყოფილების უფროსს. — რა მდგომარეობაშია სამეცნიერო რეფერატი? ბატონი, გეგმით, გუშინწინ უნდა დაგვმთავრებინათ. დღეისათვის კი საოპონენტო ჯგუფისათვის გადმოგეცათ?

— სამუშაო დამთავრებულია, ბატიჟეგმეული ბიძინა!... უმნიშვნელო კორექტირება სჭირდება... საღამოს ჩაგაბარებთ, ბატონო.

— როგორი პირი უნას ნაშრომს?

— ჯგუფმა „ითანსინდისიერად" იმუშავა. ამჯერად ყოველმხრივ საფუძვლიანი ნაშრომი იქნება. — დაბეჯითებით უთხრა გაყოფილების უფროსმა.

შეფმა თვითეულ ჩვენგანს ცალკეული ღიმილით ჯადოვრებრა.

— მადლობის მეტი არაფერი მეთქმის... კარგად მუშაობთ ამ ბოლო დროს. განყოფილების მუშაკებს შორის ჯანსაღი თანამედროვე კლიმატი ბეჭის ნიშნავს, რაც საბოლოო ჯამში ინსტიტუტის საერთო მუშაობაზე უშუალო შეგავლენას ახდენს, როგორც იტყვიან: „ერთი ყვავასათვის, ყველა ერთისათვის!" — გაეღიმა და თავის დაკერით გამოეთხოვა.

არ ვიცი რაგომ, ჩვენ კიდევ კარგა ხანს ვიდექით თავჩაქინდრულები და ერთმანეთისათვის სახეზე შეხედვა გვრცხვენოდა.

ა. გველესიანი.

მხატვარი ა. კანდელაკი.

სატირული კალმით

მკრეხელობა

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ჩვენს განყოფილებაში თითქოსდა საგანგებოდ შეარჩია თვითეული ჩვენგანი, ფსიქოლოგთა ენაზე რომ ვთქვათ, თანამშრომელთა სოციალური მოკრძალებული ჩამოყალიბა, რათა იქვე, სამეცნიერო დაწესებულებაშივე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში გარკვეულიყო.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩვენი განყოფილება წარმოების სფეროში პირველადი შრომითი კოლექტივის პირობებში მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემების სწავლობს, პიროვნების, ჯგუფის, კოლექტივის შესაძლებლობათა სოციალურ გამოკვლევას აწარმოებს.

ჩვენი განყოფილების მუშაკებს — ჯგუფის უფროსს ჯუნა ჯანდიერს და უმცროს მეცნიერთანამშრომლებს: ჯაბას, ტასოს, ზაალს, მთვარისას, ლარას და მე უფრო ვიწრო განსხვავებულ ტიპებად საკითხების კვლევა, რასაც ფსიქოლოგები და სოციოლოგები „სოციომეტრიას" ეძახიან

მოგეხსენებათ, ადამიანები, თვითეული ჩვენგანი, ბარკვიელ მიდრეკილებას, ხიმპათიას იჩენს ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენისადმი. მაგალითად, თუ გამოვიკვლევთ ვისთან ხურს, ან არ ხურს სუბიექტს სამუშაო ოთახში ჯდომა და მასთან ერთად მუშაობა, შეიძლება მის სიმპათიებზე და ანტიპათიებზე ლაპარაკი. ხოლო თუ ეს ეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ეხება. შრომის ნაყოფიერებაზე უშუალო შეგავლენას ახდენს.

აი, სწორედ ამას ეწოდება „სოციომეტრია", რაც ბერძნულად ამხანაგის, კომპანიონის შესწავლა-გამოკვლევას ნიშნავს.

ჩვენი დაწესებულების მოსამსახურეთა ჯგუფი — ეს მართლაც და თავისებური, ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია, ხოლო ჯუნა ჯანდიერი მისი ლიდერია, მისი გული და გონებაა.

...იმ დღის შესვენების დამთავრებას ათიოდე წუთიღა აკლდა, განყოფილებაში „დისკუსია" რომ დაიწყო.

განყოფილების უფროსი ჯუნა ჯანდიერი ოთახის კუთხეში მიდგომულ მაგიდას უჯდა. რაღაც ჭაღალდებს არწევდა. ტასიკო, როგორც ყოველთვის, თავის კუთხეში მიყუჩებულიყო და პაპარა სარკეში საკუთარ თვალწარბ-ეაწყაბს აკვირდებოდა (უკვე მერამდენედ იმ დღეს!).

ზაალი ერთ-ერთი ბურუსაზოული ჭვეშნის ტოლფადაციების საერთო ტონუსს სწავლობდა. ლარა ბოლო გამოკვლევების დოკუმენტაციას არჩევდა. მთვარისა პროფჯგუფორგის საქმეებს აგვარებდა, მალე ეროვნულ-შერეულ ორგანიზაციებში ნაგარეშვებიარჩევნები უნდა გამართულიყო, წინგანაკეში მარკების აკრავდა. მე, როგორც ყოველთვის, გუშინდელ ნამუშევარს, წაკითხულ-გაგონილს თავს ვუყრიდი, რაღაცას ვინიშნავდი, მოკლედ რომ ვთქვათ, რაღაცას ვჯდებინდი, ხოლო, რას და რისთვის, რომ გვიკითხავ, კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდებოდა:

— ლიდერი შრომითს კოლექტივში შეიძლება სრულიად შემოხვევით გამოვლინდეს, სიტუაციაზეა დამოკიდებული, — ტასიკომ ნეკით წამწამი აიპრიხა, პომადაწასმული წითელი ტუჩები მოილოკა.

— რაგინდ მცირე მასშტაბისაც უნდა იყოს ხელმძღვანელი, მისი ლიდერობა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი პირადი ღირსებების გარდა ბევრად არის დამოკიდებული, ჯგუფზე, კოლექტივზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, — შეეკამათა ჯაბას მისი მუდმივი ოპონენტი ზაალი.

— არ გეთანხმები, ძმაო, ლიდერად უნდა დაიბადო. მორჩა და გათავდა. — დასკვნა ჯაბამ.

— ეგ მთლად ობიექტიური აზრია... ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული დებულება, იდეალისტური სენტენციებით შეკაზმული ერუდიცია გამოიჩინე მე.

— აი, მაგალითისთვის თუნდაც ჩვენი შეფი ავიღოთ. საშსახურში დროზე მოდის და სამსახურიდან — იმიტომ, რომ თვითონ თავი არ უყვარდა.

— არ გეთანხმები... მაშ ის რაღორ იყო, ამასწინათ გამოკვლევა რომ დაგვიწუნა, კონკრეტული არ არის, ზერელე, დაუსაბუთებელი ნამუშევარიაო. მერე კი დღე და ღამე ჩვენთან ერთად მუშაობდა, თვითონ ნასასწორა ნაშრომი.

— უყვარს ყველაფრის თავიბეჯარად კეთება და იმიტომ, — თავისას არ იშლიდა ლარა.

— მაგ შემთხვევაში ნაჩქარევი ფიდაწყვეტილება მიიღო, კიცმა რომ თქვას, არც თუ მთლად გაბედული და პრინციპული.

— საერთოდ არ ახასიათებს მას არც გამბედაობა და არც პრინციპულობა!

— შტატების მომატებაზე დარბის ფინანსთა სამინისტროში, კარგი კაცია, ძმაო, ვერაფერს იტყვი.

— ეგეც გასაგებია, სხვათა შორის... ეგებერთიელა ინსტიტუტის დირექტორობა უნდა.

— კეთილს ვეისრიხა. — ამინ.

— კი, მაგრამ შენ თვითონ ყოველდღე იმას არ გაიძახი, ხალხი არა გვყოფნის, ყველაფერი ჩვენს ეხებოდეს?

— საერთოდ. პედანტურად უყვარს კანონების, დადგენილებების, ბრძანებების შესრულება... ნაღდი ბიეროკრატია.

— არ შეასრულებს და უპრინციპო, ულიმლამო მუშაკის სახელს შეარქმევენ.

— აი, თუნდაც მისი უბრალო ადამიანური თვისებები აიღოთ. თუ გინახავთ როდისმე გადიმეტული?

ზოგიერთს რომ ჩაეთხოს, სახეზე მუდამ უსაქმურის ღიმილი დასთამაშებსო, ვეღარ გავიგე, ვის დავუჯერო?

— იაფფასიან ავტორიტეტს ეძებს.

— საერთოდ, ელასტიური მუშაობის სტილი ახასიათებს, რა ეერნი?

— ისეთი ამაყი და ისე თავდაჯერებული კაცი ჯერ არ შემხვედრია.

— ყოყლოჩინობს. ეგ მართალია.

— შენ რაც გინდა ისა თქვი, ამასწინათ, საკავშირო სიმპოზიუმზე, ხომ გახსოვთ, მთელი რიგი პრობლემატური საკითხების დაყენებისა და გადაწყვეტისათვის ჩვენი ინსტიტუტი ქებით ლამის ცაში აიყვანეს.

— ჯგუფმა „ითანსინდისიერად" იმუშავა. ამჯერად ყოველმხრივ საფუძვლიანი ნაშრომი იქნება. — დაბეჯითებით უთხრა გაყოფილების უფროსმა.

— მადლობის მეტი არაფერი მეთქმის... კარგად მუშაობთ ამ ბოლო დროს. განყოფილების მუშაკებს შორის ჯანსაღი თანამედროვე კლიმატი ბეჭის ნიშნავს, რაც საბოლოო ჯამში ინსტიტუტის საერთო მუშაობაზე უშუალო შეგავლენას ახდენს, როგორც იტყვიან: „ერთი ყვავასათვის, ყველა ერთისათვის!" — გაეღიმა და თავის დაკერით გამოეთხოვა.

არ ვიცი რაგომ, ჩვენ კიდევ კარგა ხანს ვიდექით თავჩაქინდრულები და ერთმანეთისათვის სახეზე შეხედვა გვრცხვენოდა.

ა. გველესიანი.

მხატვარი ა. კანდელაკი.

ფეხბურთი

გუშინ და დღეს

გუშინ მოსკოვში გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „სპარტაკი"-„ჩერნომორეცი". ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

დღეს, ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართება 24-ე ტურის კიდევ 5 შეხვედრა: „დინამო" მ.— „კარპატი"; „ზარია" — „პახტაკორი"; „დნეპრი" — „ლოკომოტივი"; სკა — „ზენიტ" და „შახტიორი" — „დინამო" თბ.

დონეცკიდან მატჩის მეორე ნახევრის რადიორეპორტაჟი დაიწყება 20 ს. თბილისის დროით.

ასპარეზობენ ხელბურთელები

ამ დღეებში კრასნოდარში გამართულ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" პირველობაზე ვაჟთა გუნდებს შორის გაიმართება ზაპოროჟეის ზმეტი-მ. მეორე ადგილზეა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, მესამეზე — თბილისის „ბურევესტნიკი".

31-ე ტურის მატჩები

გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი 31-ე ტურის 9 მატჩი. ერთ მათგანში, „ვრილია სოფეტოვი"-„ტორპედო" (0:0) „უკვე ვიუწყებოდით.

აი როგორ დამთავრდა დანარჩენი მატჩები: „პამირი"-„კირატი"—1:0; „დინამო" მ.-„სპარტაკი" ნალჩ. — 1:0; „მეტალურგი"-„სპარტაკი" ორჯ.—1:0; „შინიკი"-„ყუბანი" — 2:1; „რუბინი"-„სპარტაკი" ი.-ფ. — 1:0; „ურალმაში"-„ტავრია" — 2:1; „ყუზბასი"-„მეტალისტი" — 2:1; „ზვეზდა"-„ნისტრუ" — 2:0.

ჭადრაკი

საკავშირო ჩემპიონატზე

1 ოქტომბერს კიშინოვში იწყება ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი პირველი ლიგის მოჭადრაკეებს შორის. მასში 18 დიდოსტატი და ოსტატი მიიღებს მონაწილეობას — ისინი, ვინც შარშან უმაღლესი ლიგა ა დატოვა და ისინი, ვინც წელს ჩელიაბინსკის საკავშირო შესარჩევ ტურნირში გაიმარჯვა.

თბილისიდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს დიდოსტატი ე. გუფელდი.

გაოამაუების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ლიგა

მდგომარეობა 28 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ძრ. ხოვეტოვი"	31	17	7	7	60-30	41
„დინამო" მნ.	30	16	8	6	43-24	40
„კირატი"	32	17	6	9	46-29	40
„ნეფტჩი"	31	14	10	7	48-27	38
„ტორპედო"	31	13	12	6	40-24	38
„ტავრია"	31	15	7	9	51-35	37
„ნისტრუ"	31	14	9	8	35-25	37
„შინიკი"	31	11	11	9	38-32	33
„სპარტაკი" ორჯ.	31	13	7	11	33-32	33
„სპარტაკი" ი.-ფ.	31	13	6	12	45-37	32
„პამირი"	31	10	11	10	38-39	31
„მეტალურგი"	31	10	10	11	37-34	30
„ყუბანი"	31	9	9	13	30-